

\*  
\* \*

ვპოვე ტამარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;  
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.  
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,  
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,  
მუნ ვეპიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;  
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,  
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,  
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;  
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,  
მეგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?  
განქრა ტამარი დ და უდაბნო ჩემდა მდუმარებს:  
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,  
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!  
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი, დ  
არა! მოსმაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!  
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტამარი!  
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!  
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგემის კარი,  
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

1841 წ.